



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 300

“ 19 ” ივნისი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 ივნისის №25.1024.1150 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის სახით - 52 141 (ორმოცდათორმეტი ათას ას ორმოცდაერთი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, სალომე მამალაძის (პ/ნ 01024064876) საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა №8-ში 2 474 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.010.082) ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე



ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

-----/----- 2025წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე,

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), მის, ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი [●] მიერ და

მეორეს მხრივ, სალომე მამალაძე (პ/ნ 01024064876) მის: [●] (შემდგომში - „ქონების შემძენი“),

ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“)

პ რ ე ა მ ზ უ ლ ა

- ვინაიდან, 2025 წლის 28 თებერვლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის N18-01250593382 წერილის თანახმად, განიხილება ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე და რაფაელ აგლამის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.05.010.082; N01.13.05.010.071; N01.13.05.010.080 და N01.13.05.010.019) სარეკრეაციო სივრცის მოწყობა და სააგენტოს ეთხოვა აღნიშნული სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნებიდან გამომდინარე კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებებთან მიმართებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
- ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 14 მარტის N16-01250732134 წერილის შესაბამისად, ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების გაცვლის ფორმით პრივატიზების სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლამის ქუჩა N8-ში მდებარე 2474 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.010.082) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა.
- ვინაიდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში: „ექსპერტიზის ბიუროს“) 2024 წლის 23 დეკემბრის N008897124 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.19.004.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3 985 164 (სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდახუთი ათას ას სამოცდაოთხი) ლარს, ხოლო 2025 წლის 25 თებერვლის N001199925 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2025 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 314 835 (სამას თოთხმეტი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარს, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ღირებულება ჯამურად შეადგენს 4 299 999 (ოთხი მილიონ ორას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.
- ვინაიდან, ექსპერტიზის ბიუროს 2025 წლის 23 იანვრის N000376125 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სალომე მამალაძის საკუთრებაში N01.13.05.010.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4 247 858 (ოთხი მილიონ ორას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი) ლარს.

- ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110) ჯამური საბაზრო ღირებულება, 52 141 (ორმოცდათორმეტი ათას ას ორმოცდაერთი) ლარის ოდენობით აღემატება სალომე მამალაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.010.082) საბაზრო ღირებულებას. შესაბამისად, N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 52 141 (ორმოცდათორმეტი ათას ას ორმოცდაერთი) ლარი.
- ვინაიდან, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სალომე მამალაძემ 2025 წლის 13 მარტის N19/01250722886-61 წერილით გამოხატა თანხმობა საპრივატიზებო საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

- 1.1 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“):

ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.118).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი: [●]

ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.110).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი: [●]

- 1.2 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენს საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს:

ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N8-ში არსებული 2 474 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა (საკადასტრო კოდი: N01.13.05.010.082).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი: [●].

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

- 2.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 52 141 (ორმოცდათორმეტი ათას ას ორმოცდაერთი) ლარი.

- 2.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

- 2.3 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

- 3.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

- 3.2 ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (პრივატიზების საგანზე) საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

- 4.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით.
- 4.2 ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება.
- 4.3 ქონების შემძენისთვის ცნობილია, რომ N01.19.19.004.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობა (N01.05.031) გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი. თუმცა, ზემოაღნიშნული გარემოებები არ მიიჩნევა პრივატიზების საგნის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.
- 4.4 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ხარისხი და ნივთობრივი მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის.
- 4.5 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულებით გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.
- 4.6 საპრივატიზებო საგანზე სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გასცეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.
- 4.7 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.
- 4.8 ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას და განვითარებისას დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.
- 4.9 საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურებამდე ქონების შემძენს უფლება არა აქვს, სააგენტოს თანხმობის გარეშე განკარგოს და გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, ქონების შემძენი პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
- 4.10 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
- 4.11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამატებითი ვადის განმავლობაში შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს.
- 4.12 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება (ან მისი გამოიჯვანის, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება) ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.
- 4.13 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების მომენტისათვის ყველა შესაძლოდ არსებული კომუნალური გადასახადის და დავალიანების გადახდა, უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას

შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

- 4.14 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების მოხსნა კომუნალური სააბონენტო აღრიცხვიდან (აღრიცხულ აბონენტად არსებობის შემთხვევაში) მისი თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვისა. აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა შესაძლოდ გამოვლენილი კომუნალური გადასახადის/დავალიანების გადახდა სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 4.15 ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას და სამშენებლო განვითარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

- 5.1 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე ან/და სააგენტოს მიერ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.11 პუნქტის მიხედვით ცალმხრივად შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.
- 5.2 ქონების შემძენის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი საპრივატიზებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ქონების შემძენი ვალდებულია სააგენტოს გადაუხადოს პირგასამტეხლო, თითოეული დარღვეული ვალდებულებისთვის ცალ-ცალკე - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.
- 5.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების (გარდა ამ მუხლის 5.1. და 5.2. პუნქტებით გათვალისწინებულისა) შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 5.4 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

- 6.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 7. სხვა პირობები

- 7.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 7.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
- 7.4 პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

7.5 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

სალომე მამალაძე (პ/ნ 01024064876)
